

ბანკთაშორისი კონკურენციის შეფასების მოდელები

ბერიძე ლაშა – დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

Interbank Competition Evaluation Models

Beridze Lasha – PhD Student, Invited Specialist, Department of Finance, Banking and Insurance, Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Competition raises not only the quality of action of economic agents, but also positively affects to the end-consumers as a reduction in the cost of goods or services. Particular attention should be paid to the banking competition and its quality, since commercial banks are the main source of financing for the population (due to low savings), and it is therefore important that the high quality of the interbank competition will provide relatively cheap services to the population. It is also important that the role of Georgia's competitive legislation in regulation of market monopolization. Accordingly, the paper deals with interbank competition under Georgian legislation.

Research methodology: In Georgia, no special methodology is used for researching the interbank competition. Competition legislation offers market concentrations index as a Herfindal-Hirschman Index (HHI), as well as a Lind Index for calculating group dominance. Accordingly, the paper uses analytical and deduction methods..

Results and implications: Interbank competition is examined by the methods established by the Georgian legislation and the results are obviously - dominated two banks. The merger of commercial banks implemented in 2016 made the banking sector highly monopolized, which requires efficient monitoring of supervisory bodies.

Conclusion: Although Herfindal-Hirschman and Lind Index offered by the Georgian legislation are considered market concentrations indexes, but the results also clearly show the dominance in the banking sector of the two commercial banks in violation of the competition legislation and the measures required by the supervisory authorities. It is important that the National Bank of Georgia as a mega regulator should reflect its annual report concentration in the banking sector.

Keywords: Domination, Dominant position, Concentration, Lind Index, Herfindal-Hirschman Index.

აბსტრაქტი

მესავალი და მიზანი: კონკურენცია ამაღლებს არამარტო ეკონომიკური აგენტების მოქმედების ხარისხს, არამედ დადებითად მოქმედებს საბოლოო მომხმარებელზე - საქონლის ან მომსახურების ფასის შემცირების სახით. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ბანკთაშორისი კონკურენციასა და მის ხარისხზე უნდა გამახვილდეს, რადგან კომერციული ბანკები გამოდიან მოსახლეობის ძირითად დამფინანსებლად (მოსახლეობაში დაბალი დანაზოგების გამო), შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ბანკთაშორისი კონკურენციის მაღალმა ხარისხმა უზრუნველყოს მოსახლეობისათვის შედარებით იაფი მომსახურების მიწოდება. ამასთანავე მნიშვნელოვანია, საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობის როლი ბაზრის მონოპოლიზაციის რეგულირებაში. შესაბამისად, ნაშრომში გამოკვლეულია ბანკთაშორისი კონკურენცია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

კვლევის მეთოდოლოგია: საქართველოში ჯერ-ჯერობით არ გამოიყენება სპეციალური მეთოდოლოგია ბანკთაშორისი კონკურენციის კვლევისათვის. კონკურენციის კანონმდებლობით შემოთავაზებულია ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის სახით (HHI), ასევე ჯგუფური დომინირების გამოსათვლელად გამოიყენება ლინდის ინდექსი (Lind Index). შესაბამისად, ნაშრომში გამოყენებულია ანალიზური და დედუქციური მეთოდები.

შედეგები და გამოყენება: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მეთოდებით გამოკვლეულია ბანკთაშორისი კონკურენცია და მიღებული შედეგებით აშკარად იკვეთება დომინირება ორი ბანკის. 2016 წელს განხორციელებულმა კომერციული ბანკების შერწყმის პროცესმა საბანკო სექტორი გახადა მაღალმონოპოლიზირებული, რაც ზედამხედველი ორგანოების მხრიდან საჭიროებს ეფექტურ მონიტორინგს.

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით შემოთავაზებული ჰერფინდალ-ჰირშმანისა და ლინდის ინდექსი მიიჩნევა ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლებად, აღნიშნული შედეგებითაც აშკარად იკვეთება საქართველოს საბანკო სექტორში დომინანცია ორი კომერციული ბანკის, რომლითაც ირღვევა კონკურენციის კანონმდებლობა, რაზეც საჭიროა ზედამხედველი ორგანოების მხრიდან ზომების მიღება. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა ბანკმა როგორც მეგა რეგულატორმა მოახდინოს საბანკო სექტორში კონცენტრაციის კვლევა და ასახვა თავის ყოველწლიურ ანგარიშში.

საკვანძო სიტყვები: დომინანცია, დომინანტური მდგომარეობა, ლინდის ინდექსი, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი, კონცენტრაცია

კონკურენცია წარმოადგენს ფართო გაგების ცნებას და ეხება ადამიანების საქმიანობის მრავალ მხარეს. ეკონომიკის სფეროში კონკურენციის ცნებას გააჩნია თავისი სპეციფიკა და იგი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული. თუმცა, ეს განსხვავებები უმნიშვნელოა, ხოლო მათი ძირითადი შინაარსი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობაში შემდეგნაირად: კონკურენცია არის „სამეურნეო სუბიექტების დაპირისპირება, რომლის დროსაც ყოველი სუბიექტის დამოუკიდებელი ქმედებები გამოირიცხება ან შეიზღუდება შესაძლებლობებით ზემოქმედება მოახდინოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრის საერთო პირობებზე“.[1]

ბანკთაშორისი კონკურენცია წარმოადგენს კონკურენციის სპეციფიკურ სახეს, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხვა (სასაქონლო) ბაზრებისაგან განსხვავებული თავისებურებები (იხილეთ ნახაზი 1).

ვინაიდან საბანკო ბაზრისათვის ისევე, როგორც ყველა სხვა ბაზრისათვის, დამახასიათებელია კონკურენტული ურთიერთობების არსებობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ბერკეტების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკურენტული გარემოს არსებობასა და დაცვას. ამ ამოცანების შესრულება შეუძლებელია საბანკო ბაზარზე კონკურენციის დონის გაზომვის გარეშე, რაც მოითხოვს შესაბამისი სპეციალური მეთოდოლოგიისა და მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას.

კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები ატარებს ზოგად ხასიათს და გამოიყენება ყველა ტიპის ბაზრებისათვის. საქართველოში ჯერ-ჯერობით არ გამოიყენება საბანკო ბაზრის კონკურენციის დონის ანალიზის სპეციალური სპეციფიკური მეთოდოლოგია. გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დადგა იმის დადგენა, თუ რამდენად ზუსტად ასახავს ბაზრის მონოპოლიზაციის განსაზღვრის არსებული საკანონმდებლო წესები საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას.


ბაზრის დარგის მონოპოლიზაციის მაჩვენებლის გამოსათვლელად კონკურენციის სააგენტო იყენებს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს [2], ხოლო ლიდერ მიმწოდებელთა შორის უთანაბრობის ხარისხის გამოსათვლელად გამოიყენება ლინდის ინდექსი. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

$HHI = \sum_{j=1}^n D_n^2$, სადაც, n არის ბაზარზე საქონლის მიმწოდებელთა ჩამონათვალი, D_n - n -ური მიმწოდებლის წილი ბაზარზე, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

$$D_n = \sum_{j=1}^n \frac{V_j}{V_m} * 100\%,$$

სადაც, V_j არის მიმწოდებლის საქონლის რეალიზაციის მოცულობა, ხოლო V_m - ბაზრის მთლიანი მოცულობა.

ბანკთაშორის კონკურენციის თავისებურებები



ლინდის ინდექსი აფასებს ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობას და გამოითვლება ფორმულით:
 $L = 1/K(K-1) \times \sum_{j=1}^n Q_j$, სადაც K - მსხვილი მიმწოდებლების რიცხვი (2-დან n -მდე);

Q_j - დამოკიდებულება j მიმწოდებლის საშუალო წილსადა $K-j$ მიმწოდებლის წილს შორის;

$K-j$ - მსხვილ მიმწოდებელთა შორის წამყვან მიმწოდებელთა რიცხვი.

$Q_j = A_j / j \times (A_k - A_j) / (K-j)$, სადაც A_j - ბაზრის საერთო წილი, რომელიც მოდის j მიმწოდებელზე;

A_k - ბაზრის წილი, რომელიც მოდის k მსხვილ მიმწოდებელზე. ლინდის ინდექსი ჯგუფური დომინირების საზღვრების განსაზღვრისას გამოიყენება შემდეგნაირად: გაიანგარიშება L , $K=2$ -სთვის, $K=3$ -სთვის და ა.შ., სადაც $L_{k+1} > L_k$, ანუ არ იქნება მიღებული L მაჩვენებლის უწყვეტობის პირველი დარღვევა. საზღვარი ჩაითვლება დადგენილად, თუ მიიღწევა L_k -ს მინიმალური მნიშვნელობა L_{k+1} მნიშვნელობასთან შედარებით.

გამარტივებული სახით ლინდის ინდექსი რამოდენიმე ბანკისათვის შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

- ლინდის ინდექსი ორი უმსხვილესი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{2} \times \left[\frac{K_1}{K_2} \right]$
- სამი უმსხვილესი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{6} \times \left[\frac{k_1}{(k_2 + k_3)/2} + \frac{(k_1 + k_2)/2}{k_3} \right]$
- ოთხი უმსხვილესი ბანკისათვის $I_L = \frac{1}{12} \times \left[\frac{K_1}{(k_2 + k_3 + k_4)/3} + \frac{(k_1 + k_2)/2}{(k_3 + k_4)/2} + \frac{(k_1 + k_2 + k_3)/3}{k_4} \right]$

ორივე ინდექსი, რომელიც გათვალისწინებულია ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებით წარმოადგენს კონცენტრაციის მაჩვენებელს. აღნიშნული მეთოდებით ავტორის მიერ გაკეთებულ იქნა რამოდენიმე კვლევა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საბანკო სექტორი მაღალკონცენტრირებულია

(კონკურენციის სააგენტოს მეთოდოლოგიით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე ბაზრების კონცენტრაციის დონეები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- დაბალკონცენტრირებული – $HHI < 1250$,
- ზომიერადკონცენტრირებული – $1250 < HHI < 2250$,
- მაღალკონცენტრირებული $HHI > 2250$),

მიღებული შედეგის თანახმად, საკრედიტო ბაზარი წმინდა საპროცენტო შემოსავლების მიხედვით $HHI=2391$, ხოლო საბანკო მთლიანი აქტივების მეთოდით $HHI=2307$. შესაბამისად, საბანკო ბაზარი, შეფასებული ორივე მეთოდით, მაღალკონცენტრირებულია, ამასთანავე, ლიდერ მიმწოდებელთა შორის უთანაბრობის ხარისხს ქმნის ორი ბანკი - სს „საქართველოს ბანკი“ და სს „თი ბი სი ბანკი“ (გამოქვეყნებული სტატია მითითებულია სქოლიო N3-ში) [3].

ასევე მნიშვნელოვანია მოვახდინოთ საბაზრო სტრუქტურისა და თავსებადობის შეფასება სხვა ქვეყნებთან შედარებით, ასევე გამოვიკვლიოთ საბანკო სექტორი კონკურენციის შეფასების სხვა მოდელე-ბითაც. საბაზრო სტრუქტურაში იკვლევენ კონცენტრაციას (ხშირ შემთხვევაში უმსხვილესი 5 ბანკისათვის მთლიანი აქტივების მიხედვით)[4], უცხოური ბანკების და სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობას საბანკო სექტორში. ბაზრის თავსებადობაში უნდა მოვისაზროთ ბანკებისათვის გარკვეული საქმიანობის შეზღუდვა (ფასდება 0-დან 12-მე, რაც უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი, მიიჩნევა, რომ ბანკებისათვის უფრო მეტი შეზღუდვებია საქმიანობაში)[5], სადაზღვევო საქმიანობის წილი (გაითვლება სიცოცხლისა და არა-სიცოცხლის დაზღვევის მოცულობის შეფარდებით მთლიან შიდა პრუდუქტთან)[6], სააქციო ბაზრის კაპიტალიზაცია (ლისტინგ გავლილი კომპანიების სააქციო ბაზრის კაპიტალიზაციის მიმართება მშპ-თან)[7], ბაზარზე შესვლის ბარიერები (იკვლევს რამდენად მოითხოვება საბანკო ლიცენზიისათვის ქველიცენზიების მიღება და რა სამართლებრივ პროცედურებს მოიცავს ლიცენზიის გაცემა. ფასდება 0-დან 8-მდე და რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი მიიჩნევა, რომ უფრო მკაცრი მოთხოვნებია ბაზარზე შესვლის)[8] და ფინანსური თავისუფლების ინდექსი (გულისხმობს სამთავრობო კონტროლისაგან დამოუკიდებლობას, სახელმწიფოს ჩართულობას პირდაპირ თუ არაპირდაპირ საბანკო საქმიანობაში, ასევე კაპიტალის ბაზრის განვითარებას, უცხოური კონკურენციისათვის ღიაობას. ფასდება 0-დან 100-მდე, იდეალური მაჩვენებელია 100).[9]

ცხრილი 1

სხვადასხვა ქვეყნების საბაზრო სტრუქტურა და თავსებადობა [10]

N	ქვეყანა	საბაზრო სტრუქტურა			ბაზრის თავსებადობა				
		კონცენტრაცია	უცხოური ბანკების საკუთრება	სახელმწიფო საკუთრებას ბანკები	საქმიანობის შეზღუდვა	სადაზღვევო საქმიანობის წილი	სააქციო ბაზრის კაპიტალიზაცია	შესვლის ბარიერები	ფინანსური თავისუფლება
1.	ალბანეთი	86,34	42,3	57,70	7	0,53		8	54,62
2.	ავსტრალია	88,48	16,19	0	7,54	6,69	113,69	7,69	90
3.	ავსტრია	75,17	12,85	2,20	4,62	4,94	26,18	7,92	90
4.	ბანგლადეში	58,90	7,72	55,65	9,11	0,73	7,09	6,08	24,62
5.	ბრაზილია	61,10	21,80	42,95	6,77	1,89	51,78	8	50
6.	ბულგარეთი	94,87	15,95	72,13	9,08	0,66		7,31	22,31
7.	კანადა	83,82	6	0	5,06	5,52	114,75	8	90
8.	ჩილე	68,14	46,91	14,42	9,08	3,47	103,79	4	89,23
9.	ჩინეთი	70,69	1,89	68,76	10,89	2,44	62,77	7	26,15
10.	კოლუმბია	77,67	19,80	15,60	9,78	1,90	32,60	8	66,15
11.	ხორვატია	73,81	23,99	57,87	10,22	1,86	9,97	6,67	48,46

12.	კვიპროსი	96,81	21,36	3,32	7,00	4,43	49,97	5,85	70
13.	ჩეხეთი	79,90	66,80	8,43	7,67	3,57	23,74	8	86,15
14.	დანია	89,65	11,62	0,05	6,38	8,21	62,67	8,00	85,38
15.	ფინეთი	99,07	27,60	6,74	5,92	3,82	119,20	5,23	69,23
16.	საფრანგეთი	73,09	14,86	0,56	5,23	8,84	82,59	6,46	56,92
17.	საქართველო	94,20	29,10	0	6	0,39	5,63	7	50
18.	გერმანია	85,96	5,53	40,64	4,33	5,36	48,04	5,33	53,08
19.	საბერძნეთი	87,19	9,34	17,11	6,92	1,66	59,48	7,31	47,69
20.	უნგრეთი	85,47	82,33	3,84	7,46	3,04	24,50	7,69	69,23
21.	ინდოეთი	42,53	4,89	76,21	8,69	2,87	61,89	6,15	32,31
22.	ისრაელი	91,34	1,48	36,88	9,69	4,52	78,14	4,31	55,38
23.	იტალია	71,21	8,09	11,17	7,92	6,44	40,38	8	64,62
24.	იაპონია	52,87	6,23	0,58	8,67	7,44	77,64	6,67	46,92
25.	მოლდოვა	74,81	30,78	7,32	8,38	1,02	3,25	8	50
26.	სერბეთი	65,80	73,50	17,90	7,0	1,89	24,41	8,0	42
27.	სლოვაკეთი	89,20	80,18	9,67	7,46	3,1	5,85	8,0	71,54
28.	ესპანეთი	84,78	9,75	0	5,31	5,06	84,12	8	-0,49
29.	შვეიცარია		85,51	14,50	10,20			7,56	46,92
30.	თურქეთი	81,10	6,32	32,21	7,67	1,00	29,75	7,11	51,54

ბოლო კვლევებში ასევე ყურადღება მახვილდება კონკურენციის შეფასების კიდევ ერთ ინდიკატორზე - ბუნას ინდიკატორი. ეს ინდიკატორი გვიჩვენებს ბანკის მაქსიმალური ხარჯების ცვლილებას ბანკის აქტივების, შემოსავლების, დეპოზიტებისა და კრედიტების ბაზარზე წილის დონესთან შეფარდებით. სისტემებს შორის ბუნას ინდიკატორი მიიჩნევა, როგორც საშუალო. მისი მნიშვნელობა შეიძლება მნიშვნელოვნად ვარიირებდეს. ამასთანავე ინდიკატორის მოძრაობა „-“ -კენ (უარყოფითი მნიშვნელობის ზრდა) მოწმობს კონკურენციის ზრდას რაოდენობის მხრივ, მოძრაობა „+“-კენ (დადებითი მნიშვნელობის ზრდა) აღნიშნავს კონკურენციის ზრდას ხარისხის მიხედვით, ხოლო ნულთან მიახლოება მოწმობს მონოპოლიური ბაზრის გაძლიერებას.

ბუნას ინდიკატორი შეიძლება წარმოდგენილ იყოს ასეთი სახით:

$$BOONE_{it}^{(ROAb)} = \beta_{ROAb} + \sum_{j=1}^N \gamma_{ROAb,j} \cdot \ln X_{j,it} + \varepsilon_{it} = \begin{cases} \rightarrow -\infty \\ \rightarrow \pm 0 \\ \rightarrow +\infty \end{cases}$$

1. კონკურენციის გაძლიერება რაოდენობის მხრივ;
2. მონოპოლიის გაძლიერება;
3. კონკურენციის გაძლიერება ხარისხის მხრივ.

$$BOONE_{it}^{(MS)} = \beta_{MS} + \sum_{j=1}^N \gamma_{MS,j} \cdot \ln X_{j,it} + \varepsilon_{it} = \begin{cases} \rightarrow -\infty \\ \rightarrow \pm 0 \\ \rightarrow +\infty \end{cases}$$

1. კონკურენციის გაძლიერება რაოდენობის მხრივ;
2. მონოპოლიის გაძლიერება;
3. კონკურენციის გაძლიერება ხარისხის მხრივ.

სადაც, $BOONE_{it}^{(ROAb)}$ - ბუნას ინდიკატორი შემოსავლების მიხედვით, $BOONE_{it}^{(MS)}$ - ბუნას ინდიკატორი საკრედიტო ბაზარზე წილის მიხედვით.

ასევე, მნიშვნელოვანია ლერნერის ინდექსის გამოყენება, რომელიც (მონოპოლიური ძალაუფლების მაჩვენებელი) გამოითვლება შემდეგნაირად:

$$L = \frac{P - MC}{P}$$

სადაც L - ლერნერის ინდექსი; MC - ზღვრული დანახარჯები; P - მონოპოლიური ფასი.[11] წმინდა მონოპოლიის დროს ლერნერის ინდექსი ერთის ტოლია.

ლერნერის ინდექსი პრაქტიკულად გვიჩვენებს კრედიტის ღირებულებაზე მონოპოლიური ფასის დაწესებას. ეს ინდექსი წარმოადგენს საშუალო შეწონილი სიდიდის სხვაობას ოლიგოპოლიურ ფასსა და ბანკის ზღვრულ დანახარჯებს შორის. ლერნერის ინდექსის მნიშვნელობა შეიძლება იყოს 0-დან (სრულყოფილი კონკურენცია) 1-მდე (მონოპოლია).

ლერნერის ინდექსის გამოყენებას საბანკო მონოპოლიზმის დასადგენად ართულებს ის, რომ კონკრეტული ბანკების მომსახურებებზე ინფორმაციის გამოთხოვა, რომელიც საჭიროა გამოთვლებისთვის საკმაოდ რთულია. საინტერესოა გავაკეთოთ შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნებთან შედარებით კონკურენციის შეფასების აღნიშნული მეთოდებით.

ცხრილი 2

საბანკო კონკურენციის დონე ლერნერის ინდექსისა და ბუნას ინდიკატორის მიხედვით [12]

N	ქვეყანა	lerner index	Boone indicator	Clerides et al. (2013)			
		დაკვირვების ობიექტთა რაოდენობა	მნიშვნელობა	დაკვირვების ობიექტთა რაოდენობა	მნიშვნელობა	Adj. Lerner	Boone
1	ალბანეთი	13	0,26	13	-0,02	0,25	-0,43
2.	ალჟირი	13	0,43	13	0,01	0,26	-0,47
3.	არგენტინა	13	0,24	13	-0,03	0,14	-0,47
4.	ავსტრალია	12	0,11	13	0,09	0,16	-0,47
5.	ავსტრია	13	0,20	13	-0,06	0,11	-0,49
6.	ბანგლადეში	13	0,28	13	-0,07	0,14	-0,44
7.	ბელგია	13	0,23	13	-0,09	0,1	-0,49
8.	ბოლივია	13	0,18	13	-0,08	0,13	-0,4
9.	ბრაზილია	13	0,18	13	-0,17	0,15	-0,49
10.	კანადა	12	0,18	13	-0,11	0,17	-0,4
11.	ჩინეთი	12	0,36	13	-0,02	0,3	-0,41
12.	ხორვატია	13	0,22	13	-0,10	0,21	-0,42
13.	კვიპროსი	13	0,22	13	0,01	0,13	-0,45
14.	დანია	12	0,26	13	-0,07	0,16	-0,50
15.	ფინეთი	10	-0,07	13	0,42	0,23	-0,39
16.	საფრანგეთი	13	0,17	13	-0,05	0,15	-0,46
17.	საქართველო	13	0,33	13	-0,10	0,21	-0,48
18.	საბერძნეთი	11	0,23	8	-0,07	0,1	-0,41
19.	უნგრეთი	13	0,09	13	-0,09	0,13	-0,45
20.	ისრაელი	12	0,19	13	-0,04	0,09	-0,43
21.	იაპონია	13	0,21	13	-0,02	0,14	-0,35
22.	მოლდოვა	13	0,27	13	-0,13	0,29	-0,47
23.	ნორვეგია	12	0,22	13	-0,01	0,18	-0,45
24.	პორტუგალია	13	0,28	13	-0,11	0,12	-0,53
25.	პოლონეთი	13	0,19	13	-0,12	0,15	-0,45
26.	სერბეთი	11	0,24	13	-0,36	0,17	-0,41
27.	ესპანეთი	13	0,16	13	0,18	0,19	-0,49

შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე აშკარად იკვეთება, რომ საქართველოს საბანკო სექტორი შედარებით სხვა ქვეყნების საბანკო სექტორთან გამოირჩევა, როგორც მაღალი კონცენტრაციით ასევე, აშკარად იკვეთება მონოპოლიური კონკურენცია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს როგორც კონკურენციის სააგენტოს, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ეფექტური მონიტორინგის განხორციელება აღნიშნულ სექტორზე. ხშირ შემთხვევაში კონცენტრირებული და მონოპოლიური ბაზარი ხელს უწყობს კრედიტებზე ხელოვნურად საპროცენტო სარგებლის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად მოქმედებს, როგორც სესხების მიმღებ პირებზე, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. ამიტომ საჭიროა აღნიშნულ სექტორზე ზედამხედველობის განხორციელება და სტრატეგიის შემუშავება, რომ არა მოხდეს აღნიშნული სექტორის კიდევ უფრო მონოპოლიზება.

ლიტერატურა და ინტერნეტ-წყაროები

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ ელექტრონული წყარო, ხელმისაწვდომი: 25.12.2015 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659450>
2. Hirschman A. O., **National power and the structure of foreign trade** Expanded, writtend in 1945, published by University of California Press, Berkeley, USA, 1980
3. შენიშვნა, კვლევა შეგიძლიათ იხილოთ ჟურნალში „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ ტომი IV, ბათუმი 2017, საბანკო კონკურენციის კვლევა ეროვნული კანონმდებლობით - ავტორი: ლაშა ბერიძე
4. World Bank: The Global Financial Development Database. Martin Čihák et al. (2012).
5. World Bank surveys on bank regulation. Surveys on bank regulation were conducted in 1999, 2003, 2007, and 2011, covering 180 countries. Barth et al. (2013)
6. World Bank: The Global Financial Development Database. Martin Čihák et al. (2012)
7. World Bank: World Development Indicators
8. World Bank surveys on bank regulation. Surveys on bank regulation were conducted in 1999, 2003, 2007, and 2011, covering 180 countries. Barth et al. (2013)
9. Heritage Foundation Data base.
10. Journal of International Financial Markets, Institutions & Money, Ali Mirzaei, Tomoe Moore What are the driving forces of bank competition across different income groups of countries, 32 (2014) 38–71
11. Мамонов М.Е. Конкуренция в российской банковской системе и ее влияние на устойчивость банков // дис. канд. экон. наук: 08.00.13. – Москва, 2014. – 271 გვ.
12. Journal of International Financial Markets, Institutions & Money, Ali Mirzaei, Tomoe Moore What are the driving forces of bank competition across different income groups of countries, 32 (2014) 63–71